1

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 21

„9" ივლისი 2010 წ.

№05
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
„14" 07 2010 წ.
№010 260.000.38.101.000.101

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) აპარატის (სამსახურის) დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის 1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) აპარატის (სამსახურის) დებულება, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 ივნისის №28 ბრძანება „ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის პრემიერის აპარატის (სამსახურის) დებულების დამტკიცების შესახებ."

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი:
ქ. თბილისის მერიის 2010 წ.
9 იულისის№ 21 ბრძანებისა

ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) აპარატის (სამსახურის) დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ქალაქ თბილსის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) აპარატი (სამსახური) (შემდგომში – აპარატი) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) საქმიანობას.
2. აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. აპარატი ანგარიშვალდებულია ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილისა (ვიცე-მერის) და მერიის ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

მუხლი 2. აპარატის უფლება–მოვალეობანი

1. აპარატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

იმოქმედოს ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) სახელით და მისი დავალებით მოითხოვოს და მიიღოს მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, სახელმწიფო და თვითმმართველობის სხვა ორგანოებიდან ის ინფორმაციები, რომელიც ესაჭიროება აპარატს მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) დავალებათა შესასრულებლად.

2. აპარატის ვალდებულებებს განეკუთვნება:

ა) ქალაქ თბილისის მერიის, ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) სახელზე შემოსული კორესპონდენციების მიღება, მომზადება და შესაბამისი წინადადებებით (რეზოლუციის პროექტი, მოსაზრება) მერის პირველი მოადგილისათვის (ვიცე-მერის) წარდგენა;
ბ) ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) მიერ განხილული კორესპონდენციების ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურისთვის ოპერატიულად მიწოდება;
გ) ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) მიერ მოქალაქეთა მიღებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზაციული და დოკუმენტური უზრუნველყოფა ინფორმაციის წინასწარი მოპოვებისა და დამუშავების გზით;

დ) მოქალაქეთა მიღების პროცესში ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) მიერ გაცემული დავალებების აღრიცხვა და ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურებისათვის გადაცემა;
ე) მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) ოფიციალური მიღებებისა და ვიზიტების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად;
ვ) ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) ბრიფინგების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად;
ზ) ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) მიერ სხვა სამსახურებრივი დავალებების შესრულება.

მუხლი 3. აპარატის ხელმძღვანელობა

1. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.
2. აპარატის უფროსი:
ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს აპარატის საქმიანობას;
ბ) პასუხს აგებს აპარატზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე;
გ) უზრუნველყოფს აპარატის მუშაობის ორგანიზებას, თანამშრომელთა შორის მოვალეობის განაწილებასა და მათი შესრულების კონტროლს;
დ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;
3. აპარატის უფროსი ანგარიშვალდებულია ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილისა (ვიცე-მერის) და მერიის ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. ყველა ის საკითხი, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე დებულება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.
2. აპარატის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება, ლიკვიდაცია) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.